ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ჰ-19/01171113212-17

"14" 06 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.040.585) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2485571 16.03.2016.წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სოფელ დიღომში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადი "E-A": "E-D" მონაკვეთში +0.00 ნიშნულზე ვიტრაჟში გაუქმებულია კარი. იგივე მონაკვეთში +6.90 ნიშნულთან კაპიტალურ მოაჯირზე გაუქმებულია ლითონის ელემენტი. "B-A" მონაკვეთში გაუქმებულია გამათბობლის გამწოვისთვის განკუთვნილი ხვრელები. "C-B" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სარეკლამო წარწერა. შეცვლილია სადარბაზოში შესასვლელი კარის ნახატი.
ფასადი "1-4": დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები და ცოკოლის ნაშვერი. წყლის შემკებ მილებს მონაცვლებული აქვთ ადგილი.
ფასადი "A-E": +0.00 ნიშნულზე ფანჯრების ნაწილზე დამატებით მოწყობილია გისოსები. შეცვლილია გრუნტის ნიშნული.
ფასადი "4-1": +12.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ფრამუგა. ფასადზე დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილები.
გეგმა -2.80 ნიშნულზე: გაზრდილია პანდუსის გაბარიტები, შეცვლილია პანდუსის კედლების ფორმები. ნაწილობრივ გაზრდილია პანდუსის დახრის პროცენტულობა. "4-4" ღერძზე ""E-D" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ავტოფარეხის კარი. "A-B" მონაკვეთში "2-2" ღერძთან საფეხურები არ არის მოწყობილი. გაუქმებულია ლიფტისთვის განკუთვნილი კარი. სადარბაზოს კედლები არ არის მოწყობილი.
გეგმა +9.00 ნიშნულზე: შემცირებულია კოლონების გაბარიტები.
გეგმა +15.00 ნიშნულზე: "1-1" და "4-4" ღერძებზე კოლონებსა და კედლებს შორის სივრცეები შევსებულია კაპიტალურად.
ფასადებზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის ქვაბები, გამათბობლისთვის განკუთვნილი კარადები, გამწოვი მილები და კონდიციონერები. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრებისა და ვიტრაჟების ნახატები. პანდუსის კედლებზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები, შეცვლილია პანდუსის კედლების ღებვის ფერი. შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. სადარბაზოში მონოლითური კიბის ნაცვლად მოწყობილია ანაკრები კიბე.
შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა, კერძოდ შემცირებულია გამწვანების ფართი. "4-4" ღერძის გარეთ პანდუსი და პანდუსის კედლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ა

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. „ოქროს ხანა"-ს, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.040.585) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01171113212-17 21.04.2017წ. განცხადება.
№წ-19/01171113212-17 25.04.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე